

# კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

## V კლასი

### I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40) ქულა

- რომელ წყვილშია გამოყენებული პირის ნაცვალსახელი?  
ა) ჩვენი განძი                      ბ) ის იბრძვის                      გ) თქვენმა სიამაყემ
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული წოდებით ბრუნვაში დასმული სახელი?  
ა) „ბავშვებო, დღეს სტუმრები მობრძანდებიან.“  
ბ) „იზრუნო მამულისათვის, შენი მუდმივი ვალია.“  
გ) „რაც არ გერგება, არ შეგერგებაო.“
- რომელია მრავლობით რიცხვში დასმული სახელი?  
ა) საბანი                      ბ) სანთლები                      გ) სიმინდი
- რომელ სიტყვას არა აქვს მრავლობითი რიცხვი?  
ა) ცა                      ბ) თბილისელი                      გ) მეურმე
- რომელი ზმნა გამოხატავს მოქმედებას მომავალ დროში?  
ა) იბუზღუნებს                      ბ) ჩიფჩიფებს                      გ) გადაიტანა
- რომელი სიტყვა გამოხატავს მე-3 პირის მოქმედებას?  
ა) ვამაყობ                      ბ) იშლება                      გ) ამბობ
- კითხვითი წინადადების ბოლოს ვწერთ:  
ა) წერტილს                      ბ) მძიმეს                      გ) კითხვის ნიშანს
- კითხვა რამდენი? დაესმის:  
ა) ზედსართავ სახელს    ბ) რიცხვით სახელს    გ) ზმნიზედას
- ჩამოთვლის წინ ვწერთ:  
ა) მძიმეს                      ბ) წერტილს                      გ) ორწერტილს
- ჩამოთვლილ სიტყვებს შორის ვწერთ:  
ა) კითხვის ნიშანს  
ბ) წერტილს  
გ) მძიმეს

## II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

11. რომელ წინადადებაშია გამოხატული მწუხარება?  
ა) ტყემ მოისხა ფოთოლი.  
ბ) რა ვქნა, ვერ ვახერხებ ექსკურსიაზე წასვლას.  
გ) დედის დღეს მივულოცავთ დედებს.
12. რას ნიშნავს გამოთქმა: *ცილი დასწამა?*  
ა) მოატყუა ბ) გააბრაზა გ) დააბრალა
13. რომელი წინადადების აზრია სწორი?  
ა) „დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის შვილიო.“  
ბ) ფრინველების საამო ჭიკჭიკმა არემარე დაასვედიანა.  
გ) ცხენი მიწას ისე მოწყდა, რომ თვითმფრინავსაც გაუსწრო.
14. რომელია სწორი დებულება?  
ა) საგნის მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია.  
ბ) საგნის რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვას ნაცვალსახელი ჰქვია.  
გ) საგნის აღმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ჰქვია.
15. დაასრულეთ ანდაზა: „ გული გულს იცნობა და ...“  
ა) ქალი ქალსო ბ) სული სულსო გ) მეფე გლეხსო

## III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40) ქულა

16. რამდენი სახელია მიცემით ბრუნვაში დასმული?  
*„ ადამიანი სინდისს და ნამუსს უნდა გაუფრთხილდეს. “*  
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
17. რამდენი სახელია მოთხრობით ბრუნვაში დასმული?  
*„ მომღერალმა სპილომ პირველად შეამჩნია საუცხოო ყვავილები “.*   
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
18. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები?  
*„ ვაშლად, მსხლად და ატმად გადაქცეულიყო მთელი ეზო. “*  
ა) ნათესაობითში ბ) მოქმედებითში გ) ვითარებითში
19. როგორი სიტყვებია: *აისი და დაისი, ქება და ძაგება, აქეთ და იქით?*  
ა) ერთნაირი მნიშვნელობის  
ბ) სხვადასხვა მნიშვნელობის  
გ) საპირისპირო მნიშვნელობის
20. რომელია სწორად დაწერილი ზმნა?  
ა) მოიპოვა, გაიმარჯვა  
ბ) აკეთეფს, ათბოფს  
გ) წეილო, წევიდა
21. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?  
ა) ათი, თერთმეტი ბ) თორ-მეტი, ცამ-მეტი გ) მე-2-ე, მე-4-ე

22. რომელია ნაცვალსახელი?

- ა) ჩვენი, თქვენი
- ბ) ზემოთ, ქვემოთ
- გ) აქეთ, იქით

23. რამდენი ზედსართავი სახელია გამოყენებული წინადადებაში?

„საუცხოო, მშვენიერი, მომაჯადოებელი სილამაზით გამოირჩეოდა პატარა დედოფალა.“

- ა) სამი      ბ) ოთხი      გ) ხუთი

24. ახსენით სიტყვა: „სასტიკი“ ანუ

- ა) გულქვა    ბ) უმადური    გ) გულთბილი

25. რას ნიშნავს გამოთქმა: „უხსოვარი დროიდან“?

- ა) ურიცხვი დროიდან
- ბ) უძველესი დროიდან
- გ) უმძიმესი დროიდან

ბონუს-სავარჯიშო:

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

1. რომელია რიცხვითი სახელი?

- ა) ორმოცდარი      ბ) დამშვიდებული      გ) გალამაზებული

2. რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა?

- ა) განსაკუთრებული      ბ) აბრჭყვიალდა      გ) ცარცი

3. რომელი არ აღნიშნავს ერთზე მეტს?

- ა) მრავალი      ბ) რამდენიმე      გ) გვერდი

4. ანბანის მერამდენე ასოა „ვ“?

- ა) მერვე      ბ) ოცდამეშვიდე      გ) მეექვსე

5. „ბეჯითი მოსწავლე“ ანუ

- ა) ცუდი მოსწავლე
- ბ) უცნაური მოსწავლე
- გ) კარგი მოსწავლე